

გიორგი შავგულიძე—საიათნოვა

(ნაწაყვადი წიგნიდან „გიორგი შავგულიძე“)

აიათნოვას როლში გიორგი შავგულიძემ თავისი აქტიორული ტალანტის მრავალი მხარე გვიჩვენა. ცნობილია, რომ მას ძალზე ჰქონდა განვითარებული ფორმის მშვენიერების გრძნობა.

მისი თითქმის ყოველი როლი დასრულებულ ნახატს წარმოადგენდა, სადაც ხაზები და ფერები უაღრესად მეტყველებდნენ. გ. შავგულიძის თვისება მეტაფორული აზროვნება იყო — მისი დეტალები ყოველთვის ღრმა და გადატანითი აზრით იყო დატვირთული და ყველაფერს პოეტური მგზნებარებით ავსებდა. ამ თვალსაზრისით იგი ქართული სცენის პოეტი იყო, რომელსაც მუდამ სიცოცხლე შემოჰქონდა სცენაზე. იშვიათია მსახიობი, რომელსაც ისე გაბედული ჰიპერბოლური ხერხებისთვის მიემართოს, როგორც ამას გ. შავგულიძე აკეთებდა. მას შეუდარებელი იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა. სცენაზე ცოცხლობდა მუდამ. ისევე, როგორც ცოცხლობს სიმღერა ჭეშმარიტი პოეტის სულში. დაუსრულებელივ შეეძლო ეფრქვია ნაპერწკლები თავისი ტალანტისა, მაგრამ იცოდა სად უნდა შეჩერებულიყო...

მთელი მისი არსება პირდაპირ ფიზიკურად გრძნობდა როლის უფაჩიზეს შეხებებს და ჩვენ მოწმენი ვხდებოდით არტისტული მეტამორფოზების. მისი აზროვნების მეტაფორულობა იქმნებოდა სულისა და სხეულის უმცირესი ფიბრების მონაწილეობით.

პარმონიულობა მის ემოციებს ავსებდა სცენური სიბრძნით.

და როცა მის პოეტურ ბუნებას მოუწია საიათნოვას პოეტური სამყაროს გადმოცემა, მაშინ გაიშალა მისი შემოქმედების ახალი თვისებანი. თბილისელი აშულისა და პოეტის როლი მან ლევან გოთუას „მეფე ერეკლეში“ (რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი) შეასრულა.

ამ სპექტაკლში ჩინებულად იყო დადგმული ორი აშულის პოეტური გააქაქრების სცენა. გ. შავგულიძეს მაღლა ეჭირა თარი და ოდნავი წამღერებით. ტანის ძლივსშესამჩნევი რხევით, გაბრწყინებული სახით მიიწვიდა მეტოქისაკენ. სცენაზე ბობოქრობდა. ცოცხლობდა ჭრელი ბრბო და მას მშვენიერ ფონს უქმნიდა, ხოლო სადღაც მაღლა აივანზე მისი სიმღერისა თუ ლექსის რიტმზე ირწოდნენ ჭაბუკები.

ნელი ხმით — ოდნავ ქალაქური წამღერებით წარმოთქმული ლექსები, რიტმული ცეკვა (უფრო მეტად როკვა) ისეთი უშუალოდობითა და გულწრფელობით იყო შობილი, რომ გრძნობდით როგორ ბატონობდა მსახიობ-აშულზე (ბატონობდა თუ თვით იყო მისი ცოცხალი სიმბოლო) სამი მუზა — მუზა სიმღერისა, ცეკვისა და პოეზიისა. ეს ლექსები ისე იღვრებოდნენ სცენაზე, რომ ჩვენ ერთი წუთით არ გვებადებოდა ეჭვი მათს ექსპრომტულობაში.

მისი ემოციურობა ამ როლში გამოხატული იყო დახვეწილ.